



EURO-CAUCASIAN COOPERATION ASSOCIATION
ევრო-კავკასიური თანამშრომლობის ასოციაცია



პროექტი „ინფორმირებული დევნილები“

პროექტის დაწყების თარიღი:

7 აგვისტო 2016 წელი

პროექტის დასრულების თარიღი:

7 ოქტომბერი 2016 წელი

პროექტი დაფინანსებულია საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის მიერ

შემაჯამებელი პრეზენტაცია 2016 წ



ცესკო

საპარტევლო სტარტაპი
ადმინისტრაცია



საარჩევნო სისტემების
განვითარების, რეფორმებისა და
სწავლების ცენტრი

წინამდებარე პროზენტაცია ასახავს „ევრო-კავკასიური
თანამშრომლობის ასოციაციის“ (ECCA) მიერ პროექტის
„ინფორმირებული დევნილები“ ფარგლებში
განხორციელებული პროექტის ანგარიშს.

ევრო-კავკასიური თანამშრომლობის ასოციაცია მადლობას
უხდის იძულებით გადაადგილებულ პირებს, რომლებმაც
გამოიჩინეს ინტერესი, გამოავლინეს სამოქალაქო
პასუხისმგებლობა და აქტიური მონაწილეობა მიიღეს
პროექტის ფარგლებში დაგეგმილ ღონისძიებებში.

ორგანიზაცია განსაკუთრებულ მადლობას უხდის საარჩევნო
სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების
ცენტრს, რომლის უშუალო ფინანსური მხარდაჭერითაც
განხორციელდა ეს პროექტი.



ცეცკო

საქართველოს საარჩევნო
ადმინისტრაცია



პროექტის მიზანი

სამეგრელოს, აჭარისა და შიდა ქართლის რეგიონში იძულებით გადაადგილებულ პირთა ცნობიერების ამაღლება საარჩევნო საკითხებზე და მათი აქტიური ჩართვა 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებზე.

პროექტის ძირითადი ამოცანა

იძულებით გადაადგილებულ პირთა ინფორმირება საარჩევნო საკითხებზე.



ცესკო

საქართველოს საარჩევნო
ადმინისტრაცია



საარჩევნო სისტემების
განვითარების, რეფორმებისა და
სწავლების ცენტრი

პროექტის ფარგლებში განხორციელებული
კონკრეტული ღონისძიებები:

მოსამზადებელი სამუშაოები:

მოსამზადებელი სამუშაოების ფარგლებში მოხდა
სამუშაო ჯგუფის შეხვედრა, ყოველდღიური სამუშაო
გრაფიკის შედგენა, საინფორმაციო ბუკლეტების,
პლაკატების, სტიკერებისა და მაისურების მომზადება-
დაბეჭდვა, ავტო ტურების, საჯარო შეხვედრების
ორგანიზებისთვის მოსამზადებელი სამუშაოების
ჩატარება.



ცეცაკო

საპარტნიორო საარჩევნო
ადმინისტრაცია



საარჩევნო სისტემების
განვითარების, რეფორმებისა და
სწავლების ცენტრი

ინსტრუქტაჟი პროექტში მონაწილე მოხალისეებითვის:

პროექტისთვის შეირჩა ხუთი მოხალისე, რომლებსაც ჩაუტარდათ ინსტრუქტაჟი საარჩევნო საკითხებთან დაკავშირებით. ინსტრუქტაჟის თემა იყო მოხალისეთა ქცევა დავნილებთან შეხვედრის დროს, საინფორმაციო მასალის დარიგება, პლაკატების გაკვრა თვალსაჩინო ადგილას, არჩევნების დღის პროცედურების თეატრალური ინსცენირება.

მოხალისეები ჩართული იყვნენ პროექტის ფარგლებში განხორციელებულ ყველა დონის ღონისძიებაში, როგორცაა ავტო-ტურები, შეხვედრები, დისკუსიები და საინფორმაციო მასალების გავრცელება.

შეხვედრები დევნილებთან

- ❑ შეხვედრები დაიწყო 26 აგვისტოს და დამთავრდა 7 ოქტომბერს. სულ პროექტის განმავლობაში მოეწყო 43 გასვლითი შეხვედრა დევნილებით დასახლებულ 81 კომპაქტურ უბანში. შეხვედრები ჩატარდა ზუგდიდის, სენაკის, ფოთის, ბათუმის, გორის დევნილებით დასახლებულ უბანებში. შეხვედრები ძირითადად ტარდებოდა კარდაკარის პრინციპით. პროექტის ფარგლებში ხდებოდა დევნილებთან გასაუბრება, შეხვედრა-დისკუსიები, როგორც ინდივიდუალურ, ისე ჯგუფურ რეჟიმში, გარდა ამისა ჩატარდა საარჩევნო პროცესის იმიტაციები, სადაც გამოყენებული იყო საარჩევნო კაბინა და საარჩევნო ყუთი.
- ❑ შეხვედრებზე დევნილებს მიეწოდებოდა ინფორმაცია საარჩევნო საკითხებზე, ასევე განიხილებოდა არჩევნებთან დაკავშირებული კონკრეტული საკითხები: დევნილთა საარჩევნო უფლებები, საარჩევნო სიაში მათი ყოფნის საკითხები.
- ❑ დევნილებთან შეხვედრები ძირითადად მიმდინარეობდა ინტერაქტიული მეთოდით, რაც საშუალებას აძლევდა მასში მონაწილე პირებს აქტიურად ჩაერთულიყვნენ პროცესში, გამოეხატათ აზრი და მიეღოთ პასუხი ყველა იმ საკითხთან დაკავშირებით, რაც უკავშირდება საარჩევნო პროცესებს, არჩევნების დღის პროცედურებს. შეხვედრებზე მოხალისეები მათ ურიგებენ საინფორმაციო მასალებს - ბუკლეტს, ფლაერს, კალენდარს, თვალსაჩინო ადგილას აკრავდნენ პლაკატებს. სულ პროექტის განმავლობაში მოხდა 15000 დევნილთან შეხვედრა.

ავტო ტურების ორგანიზება:

ავტო-ტურები გაიმართა სამეგრელოს (ზუგდიდი, სენაკი, ფოთი), აჭარისა (ბათუმი) და შიდა ქართლის რეგიონის (გორი) დეენილებით დასახლებულ 81 კომპაქტურ უბანში, ავტო-ტურში მონაწილეობდა შეხვედრების კოორდინატორი, ფასილიტატორი და 5 კაციანი სარეკლამო მაისურებში გამოწყობილი მოხალისეთა ჯგუფი. ავტო ტური მოეწყო სპეციალური ავტომანქანის მეშვეობით, რომელიც გაფორმებული იყო სტიკერებით. მანქანაზე დატანებული იყო შემდეგი სლოგანები: „მოდით არჩევნებზე“, „შენი ხმა გადამწყვეტია“, „პარლამენტის არჩევნები 2016“.

პროექტის ფარგლებში მომზადდა და დაიბეჭდა:
გასაკრავი A-2 და A-3 ზომის ფერადი პლაკატები



2016 წლის 8 ოქტომბერი
საქართველოს პარლამენტის არჩევნების დღეა



შენი ხმა გადამწყვეტია!

მიიღე კენჭისყრაში მონაწილეობა არჩევნების დღეს 8 საათიდან 20 საათამდე!

საარჩევნო უბანზე მისვლისას თან იქონიეთ იძულებით გადაადგილებული პირის მოწმობა,
პირადობის მოწმობასთან ერთად!

პლაკატი მომზადებულია ევრო-კავკასიური თანამშრომლობის ასოციაციის მიერ პროექტის
„ინფორმირებული დევნილები“ ფარგლებში.
პროექტი დაფინანსებულია საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების
ცენტრის მიერ.

<http://www.ecca.ge>

სტიკერები ავტო ტურის მანქანისთვის, რომლითაც გაფორმდა მანქანა შემდეგი სლოგანით: „მოდო არჩევნებზე“, „შენი ხმა გადამწყვეტია“, „პარლამენტის არჩევნები 2016“.



20.11.2016



ფერადი ბუკლეტი - ამომრჩევლის სამახსოვრო, მასში განთავსდა ინფორმაცია ხმის მიცემის პროცედურებზე.

პროექტი დაფინანსებულია
საარჩევნო სისტემების
განვითარების, რეფორმებისა და
სწავლების ცენტრის მიერ.
ბუკლეტი მომზადებულია ევრო-
კავკასიური თანამშრომლობის
ასოციაციის მიერ პროექტის
„ინფორმირებული დევნილები“
ფარგლებში.



<http://www.ecca.ge>



20.11.2016

ევრო-კავკასიური
თანამშრომლობის ასოციაცია

ფერადი ფლაერი

პროექტი დაფინანსებულია საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის მიერ.

მასალა მომზადებულია და ვრცელდება ევრო-კავკასიური თანამშრომლობის ასოციაციის მიერ პროექტის „ინფორმირებული დევნილები“ ფარგლებში.



www.ecca.ge



საქართველოს პარლამენტის
არჩევნები
2016 წელი.
8 ოქტომბერი



შენი ხმა გადამწყვეტია !!!

საარჩევნო უბანზე მისვლისას თან იქონიეთ დევნილის მოწმობა პირადობის მოწმობასთან ერთად.

20.11.2016

ევრო-კავკასიური
თანამშრომლობის ასოციაცია

თეთრი მაისურიები



20.11.2016



პროექტის ეფექტი (მიღწეული შედეგები)

რაოდენობრივი მაჩვენებელი:

- 81 დევნილებით დასახლებულ პუნქტში სამეგრელოში, აჭარასა და შიდა ქართლში ჩატარდა შეხვედრები საარჩევნო საკითხებთან დაკავშირებით;
- 81 დევნილებით დასახლებულ პუნქტში სამეგრელოს, აჭარისა და შიდა ქართლის რეგიონში მოეწყო ავტო ტური;
- 15000 იძულებით გადაადგილებულმა პირმა მიიღო და აიმაღლა ცოდნა საარჩევნო საკითხებთან დაკავშირებით;
- დაიბეჭდა და გავრცელდა 15000 ეგზემპლარი ბუკლეტი, ფლაერი და კალენდარი;
- დაიბეჭდა და თვალსაჩინო ადგილას გაიკრა A-2 და A-3 ფორმის ფერადი პლაკატი 300 ეგზემპლარი;



თვისობრივი შედეგები:

ამაღლდა იძულებით გადაადგილებულ პირთა ინფორმირებულების დონე საარჩევნო საკითხებთან დაკავშირებით.



პროექტის სამიზნე ჯგუფი

პროექტის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენდა ზუგდიდის, სენაკის, ფოთის, ბათუმის, გორის იმულებით გადაადგილებული პირები

დადებითი ტენდენცია

- ☐ პროექტის ფარგლებში ნაცვლად დაგეგმილი 77 კომპაქტური უბნისა შეხვედრა ჩატარდა 81 უბანში.
- ☐ დევნილები დადებითად არიან განწყობილი მსგავსი საინფორმაციო შეხვედრების მიმართ;
- ☐ ამაღლდა ევრო-კავკასიური თანამშრომლობის ასოციაციის, საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრისა და საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის იმიჯი დევნილ მოსახლეობაში.

ევრო-კავკასიური
თანამშრომლობის ასოციაცია



20.11.2016



20.11.2016





20.11.2016



EURO-CAUCASIAN COOPERATION ASSOCIATION
ევრო-კავკასიური თანამშრომლობის ასოციაცია

გზადლობთ ყურადღებისთვის!



ცესკო

საპარტველოს საარჩევნო
ადმინისტრაცია

ინფორმაციული

სისტემების განვითარება

